№ 11 წელიწადი პირველი ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

რედაქციისაგან

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები უნდა იყვეს გარკვევით დაწერილი და ავტორის მიერ ხელ-მოწერილი მისივე ადრესით.

გაზეთის ფასი:

ცალკე ნომერი ყველგან 2 კაპ.
წლის დამლევამდე 75 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი ტექსტის წინ 20 კაპ., ტექსტის შემდეგ 10 კ., ტექსტის შუა 40 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 2 მან. უმუშევართათვის ამ ფასების ნახევარი.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სტამბა ჰუტენბერგისა, ოლგისა და სლეპცოვის ქუჩების კუთხე.

კვირა, 8 ნოემბერი. **1909 წ.** კვირა, 8 ნოემბერი.

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი

იაფ ფასიანი სახალხო წარმოდგენა.

კვირას, 8 ნოემბერს, 1909 წ.

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:
მეორე ჯერ ახალი პიესა ჰეერმანსისა:

I

იმედის დაღუპვა

დრამა 1 მოქმედებად თარგ. დ. მესხისა.

II

პირველად ახალი კომედია

„მ ო ფ უ რ ჩ ხ უ ლ ი ა“

1 მოქმედებად, დ. მესხისა.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი: ჩვეულებრივია.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მორიგი რეჟისორი კ. მესხი. რეჟ. თან.ვ. ურუშაძე.

დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

გაიხსნა ტფილისის კერძო ახალი

სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590

ბალარჯიშვილი ვ. დ. შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ., დღეს; კვ. გარდა 11—12 საათ.

ბედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

ბურკო გ. ა. შინაგ შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½ 3½ ს.

მაღლაშვილი გ. ზ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს

მანსვეტოვი ვ. მ შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12 | 1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ ოთხშ. და პარას. 2—2½ ს.

ფირადოვი რ ზ. ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2½ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოვ. დღ. 9—11 საათ.

სოგოლევსკი ზ. ვ. ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

თიკანაძე ი. ე. დედაკ. საბებიო, ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. ზ. მიკრ. ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა, (50—10)

ვ ო გ ზ ლ ი ს

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ს. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—ბ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—11½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ, ხუთშ., შაბ., 2—2½ ს. თვალისა.

გ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. ზ. ფედოროვი—ყოველ დღე ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავათმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

(50—10)

ბიურო ბაგალოვისა.

მთავრობის ნებართვით, დვორცოვის ქუჩაზედ, სარაჯიშვილის სახლში № 6 (ეზო 8) გახსნილია **ბიურო საწერავ მაშინისა.** ყველა ენაზედ. ფასები ძლიერ ხელმისაწდომია. საქმის სწრაფად შესრულებაზედ, სისუფთავეზედ და გრამატიკულ მართლწერაზე მიქცეულია განსაკუთრებული ყურადღება.

იქვე იწერება ყველანაირი თხოვნები, საქმის ქაღალდები. პირობის წერილები, საპეკუნო ანგარიშები, კასაციისა და აპელიაციის საჩივრები, თხოვნები **უმაღლესს სახელობაზედ** მისართმევად, გამოწერვ-გამოტანა გირავნობის მოწმობისა ყველა ბანკებისათვის უძრავ მამულისა.

ბიურო ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათიდან ვიდრე 2 საათამდე. ნაშუადღევის ჰ—7 საათამდე. (10—4)

საკვირაო კურსები სოფლად.

დადგა შემოდგომა გძელი ღამეებით, პატარა დღე ბით და ქლმურტლიანი დღეებ ით, თან მოჰყვება ცივი ზამთარი უდიდესი ღამეებით. ქალაქი მრავალ ფეროვანია. ქალაქში მცხოვრები მდიდარიც და ღარიბიც იპოვის გასართობს, ზოგი სასარგებლოს და მავნებელს. სოფელი? ბედშავი სოფელი? შეღამდება და სოფელში მცხოვრებმა უნდა მიაშუროს სახლს. ღლიურ ჰირ-ვარამს მალე გამოილაპარაკებს და სხვა გასართობი არა აქვს რა.

არ გეგონოთ, რომ სოფელში სულ უსწავლელი ხალხი რჩებოდეს შემოდგომა-ზამთარში. უმეტესს ჩვენებურ სოფელში არსებობს პირველ დაწყებითი სასწავლებლები ერთი და ორი მასწავლებლით, მღვდელი ხომ ყოველს სოფელშია, ზოგან ორი და სამიც. ბევრი მათგანი საშუალო სასწავლებელში კურს-დამთავრებული ესენი როგორღა ატარებენ გრძელ ღამეებს? ღამეები რა სათქმელია, დღესაც ბევრი მათგანი ატარებს: ნარდში, ქაოალდში, სმაში და სხვა გართობაში.

ხელ-მძღვანელი რომ ჰყავდეს ამ უსაქმურ ხალხს, ბევრს თუ არ, ცოტას მაინც მიაჩვევდა საქმიანობას, იმისთანა საქმიანობას, რომელიც სასარგებლო იქნებოდა იმათთვისაც და დაბეჩავებულ, მომავლის თვისაც. მე მოგახსენებთ საღამოს და საკვირაო კურსებზედ მოზრდილთათვის. —ეს საქმე კი უნდა ითაოს წ.-კ. გ. საზოგადოებ მ —ზოგიერთი თავისი საქმიანი წევრი უნდა გაგზავნოს სოფლებში, ადგილობრივ შეიტყოს, გაიცნოს სოფლათ დარჩენილი, ეგრეთ წოდებული ინტელიგენციის ძალღონე და სადაც შესაძლებელი იქნება მოაწყოს ს ღამოს და საკვირაო კურსები. ამისი ნებართვა თვითვე საზოგადოებამვე უნდა აიღოს საზოგადოებამვე უნდა მოაწყოს სახელმძღვანელო მასალა. მასალა და გეგმა-კი უნდა შეამზადოს მცოდნე პირთაგან შემდგარმა კომისიამ.

თუმცა უსაქმურნი ბევრნი არიან ჩვენში, შეძენილ ცოდნას ნიჭს და ძალ-ღონეს ფუქსავატ და მავნე გართობას ანდომებენ, მაგრამ ისეთებიც მოიპოვებიან, რომელთაც ხალხისთვის გული შესტკივათ, გულით ჰსურთ დაეხმარონ თავისზედ დაბეჩავებულ მოძმეს, მაგრამ საკუთარის თაოსნობით და ძალ-ღონით ვერაფერი მოუხერხებიათ. კარგი მწყემსი

ბევრ დაკარგულ ცხვარს იპოვ-ს. ბედშავი ღვთის ანაბარა მიტოვებული მშრომელი ხალხი ნაცვლად ხორციელი საზრდოისა, რომელიც უხვად უმზადებს მცონარეთ, მათგან მიიღებს ოკტაოდენ სულიერ საზრდოს.

სოფელში მცხოვრები.

საგლეხო ბანკი

III.*)

უნდა ვერიდოთ ხიფათს.

რაკი გამოირკვევა, რომ გამყიდველს კანონიერი პლანი აქვს და ფასშიაც მორიგდებიან, მაშინ მყიდველი, სულ ერთია, ერთი ყიდულობს, სოფლის საზოგადოება, თუ კერძო ამხანაგობა, უნდა შეუდგეს საბუთების მომზადებას. განცხადებას ბანკის სახელზე, პირობის ქაღალდს, თუ რა ფასად ყიდულობს მამულს, საოჯახო სიას, მესაკუთრესაგან ხელწერილს, რომ ბედ ამდენი და ამდენი ჩაიბარა და მეორე ხელწერილს, რომ მამული იჯარით არ არის გაცემული, ან თუ გაცემულია—რამდენი წლით და რა პირობით. ყველაფერ დასახელებულ საბუთების ბლანკებს საგლეხო ბანკი არიგებს უსასყიდლოდ. ბლანკებზე უნდა დაიწეროს საჭირო ცნობანი და შეამოწმოს ან მამასახლისმა ან ნატარიუსმა. უფრო ხელსაყრელია, რომ სოფლად გაკეთდეს ეს ქაღალდები, თორემ ნატარიუს ხარჯი უნდა. მართალია, დიდი ხარჯი არ არის, სულ რაღაც 8-9 მანათს დაიჭერს, მაგრამ ესეც ფულია. მაშ რად გვინდა მწერალ-მამასახლისი, რად ვიღებთ მათთვის ჯამაგირს, თუ ამ ქაღალდებსაც არ გაგვიკეთებენ.

როცა ყველა ამ საბუთს მოვამზადებთ, მაშინ წარვსდგებით ბანკში და მოვახსენებთ: მამულს ვყიდულობთ ამა და ამ ფასად, ბედ ამდენი გადვიხადე, ამდენი კიდევ გვჭირდება და გთხოვთ გვასესხოთ ამდენი და ამდენი თუმანი. როცა ასე გაწყობილი ქაღალდები მოუვა ბანკს, მაშინ იგი დამფასებელს გაჰგზავნის მამულში დასათვალიერებლად. მამულის დათვალიერება-დაფასების შემდეგ ბანკი იტყვის, ამდენს გასესხებთო და თუ მყიდველი და გამყიდველი ყმაყოფილები დარჩებიან, ნასყიდობის ქაღალდი სულ ერთ თვეში დაიწერება.

მოხდება ხოლმე, რომ მყიდველი თხოულობს სესხად დღიურზე ოთხ თუმანს, ხოლო ბანკი იძლევა სამთუმან ნახევარს, თუ მყიდველს მამული უღირს ოთხ თუმნად, ბანკიდან გამოიტანს სამ თუმან ნახევარს და ხუთ მანეთს კიდევ თავის ჯიბიდან დააყრის. თუ არ ღირს, ან ვერ შესძლებს, უარს იტყვის ყიდვაზე. არავითარი ზარალი და ხარჯი არ მოუვა უარის თქმით. ერთხელ შეჩერებულ საქმის განახლება კიდევ შეიძლება შემდეგში. მესაკუთრესაც უფლება აქვს დააცადოს 2-3 წლით მყიდველს დასაყრელ ფულის გადახდა.

ალექსანდრე ყიფშიძე.

ასე ვარ ასე ვიქნები.

ასე ვარ, ასე ვიქნები,
ვერ დავივიწყებ ანდერძსა!
ვერცა მივბაძავ ზოგი ერთს
დაწყევლილ იუდის კერძსა.

—

სანამ ცოცხალ ვარ, ასე ვიქ,
გზას არ დაუთმობ მოშარეს;
რაც გავჩნდი, იგივ მოკვდები
იგივე ჩავალ სამარეს.

—

თავ განწირულსა სიკვდილი
მოურჩენს ყველა იარებს,
რას ვკარგავ? ცაში მეუფე
სამოთხეს დამიზირებას!

—

იქ თამარ მეფეს შევხდები,
ჩვენში „პირი-მზედ“ ხსენებულს,
წმიდა ქეთევან დედოფალს,
ქვეყნისთვის სპარსეთს წამებულს.

—

ერეკლეს, ჩემსა სალოცველს,
გრძობით თუ საქმით დიდებულს
და შოთას ნათელს სპეტაკსა
ქვეყნისთვის ლამპრად აღგზნებულს.

ალ. ყაზბეგი.

ტყეების დავიცვათ*)

I

გამოკვლეულია მაგ.. რომ ტყეების გაჩეხას თან მოსდევს სასოფლო მეურნეობის თანდათანი დაცემა. ტყიან ადგილებში იშვიათია ნამქერები, რადგანაც ტყე იკავებს, ფხას სტეხს ქარს, რომელიც დაუბრკოლებლად დათარეშობს უტყეო ადგილებში, სადაც ქარი ახდის ხოლმე ნათესს მინდვრებს საზამთრო საზურავს—თოვლს და ამის გამო ჯეჯილი იძრება. ტყე, როგორც ღრუბელი, ჰაერიდგან იზადავს და დიდხანს ინახავს სინოტივეს, ამით აიხსნება, რომ ტყიან ადგილებში უხვადაა წყაროები და მდინარეები; ამითვე აიხსნება ის სამწუხარო მოვლენაც, რომ ჩვენში უმთავრესი მდინარე—მტკვარი თანდათან პატარავდება, რადგანაც ამ უკანასკნელ წლებში დიდი ხანძარები (ცეცხლი) იყო ახალციხის მაზრაში, რამაც რამდენიმე ათასი დესეტინა მშვენიერი საშენი ტყე იმსხვერპლა. ტყეების მახლობელ ადგილებში ხშირია ზაფხულობით წვიმები და ზამთრით—თოვლი, რომელიც, ტყეებისვე წყალობით, გამოზოგვით და ცოტ-ცოტათი დნება, მაშინ, როდესაც უტყეო ტატველა ადგილებში თოვლი ერთბაშათ დნება და ამით მოზღვავებულ ნიაღვარს დიდი ზარალი მოაქვს. ტყეებით შემოსილი მთა-გორაკები არ წარმოშობენ მაზარალებელ, გაგიჟებულ ნიაღვრებს, რადგანაც ტყეში წყალს აკავებს: თვით ხეები, მათგან დაცვენული ფოთლები, ყლორტები, ხავსი, ბალახ-ბულახი და სხ. ყველამ იცის აგრეთვე, თუ ტყე როგორ სწმენდს და ასუფთავებს ჰაერს: აბა შევადაროთ ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა ტყიან და უტყეო ადგილებში მცხოვრებთა!

გავიხსენოთ, სხვათა შორის, აგრეთვე ისიც თუ რამდენს, შრომისაგან დაქანცულ, ილაჯ-გაწყვეტილ სოფლის მუშას უმალ ხალისი და ძალ-ღონე უგვრძვნია, როცა-კი, დროებითაც არის, შეჰფარებია ტყის მაცოცხლებელ კალთის ჩეროს! რამდენ დიდებულ მწერალს, ამ ტანჯულ კაცობრიობის ჭირ-ვარამის საუკეთესო მესაიდუმლეს, განუცდია ზეკარდმო აღმაფრთოვნებული მადლი და ფერადი სურათებით აუმეტყველებია მისი ენა ტყეების მომხიბლავ სიკეკლუცე სიმშვენიერის ზეგავლენას! დიახ, ასეთ დაუფასებელ მეგობრობას გვეწევა ტყე და ჩვენ-კი

*) იხილე „სახალხო გაზეთი“ № 10.

*) იხილე „სახალხო გაზეთი“ № 10.

იმერეთის მეფე სოლომონ მეორე.

გრიგოლ დადიანმა, რაკი სამთავრო დაჰკარგა, მიჰმართა რუსეთს და მთავარმათებელის ციციანოვის შუამდგომლობით დაიწყო მოლაპარაკება იმპერატორის მფარველობის ქვეშე შესვლის შესახებ. ციციანოვმა ისარგებლა დადიანის თხოვნით და ჩაერია იმერეთის და სამეგრელოს ბატონთა საქმეში. სოლომონ მეფეს განზრახვა ჰქონდა თავის სამეფოს სამზღვრები გაეფართოებინა და თავდაპირველად დაეპყრო სამეგრელო. სოლომონის სურვილს წინააღუდგა დადიანი. რუსეთი მოიწვია უთანხმოების მოსარიგებლად. გარდა დადიანისა, რუსეთს მეჰმართა 1802 წ. დავით გიორგის ძის ქვრივმაც, დედოფალმა ანნამ, თხოვნით, რომ სოლომონ მეორეს გაენთავისუფლებინა ბატონისშვილი კონსტანტინე, მუხურის ციხეში დატყვევებული. იმპერატორმა ალექსანდრემ I გამოგზავნა სოლომონ მეფესთან ამ საგანზე მოსალაპარაკებლად სოკოლოვი, მაგრამ საქმე სასურველად ვერ დაგვირგვინდა. სოლომონმა უარყო იმპერატორის წინადადება და მაშინდელს ქართლ-კახეთის მოძრაობაში ფარულს მონაწილეობასაც თავი არ მოაშორა.

ციციანოვს ამიტომ სასიამოვნოდ დარჩა გრიგოლ დადიანის მოწოდება რუსეთის მფარველობა მიეღო და სწრაფად მოეწყო ეს საქმე, თუმცა სოლომონ მეორე ხელს უცარავდა და მოლაპარაკებაში აბრკოლებდა. 1803 წ. სამეგრელოს მთავარმა ფიცი მიიღო რუსეთის ერთგულებაზე. ამ გარემოებამ აიძულა სოლომონ მეფე, მასაც ეძია რუსეთის მფარველობა იმ პირობით, რომ რუსის ჯარი დახმარებოდა, როცა გასაჭირს მდგომარეობაში იგრძნობდა თავის სამეფოს. გარდა იმ მოსაზრებისა, რომ რუსის ჯარის დახმარებით მეფე შეიძლებდა იმერეთთან ლეჩხუმის შემოერთებას, სოლომონს ჰსურდა აეცილებინა მოსალოდნელი განსაცდელი, სახელდობრ ის, რო რუსის მთავრობას არ აეყვანა იმერეთის ტახტზედ კონსტანტინე ბატონიშვილი, რომლის განთავისუფლებას დაბეჯითებით თხოულობდნენ ტფილისიდან და პეტერბურგიდან. ამიტომ სოლომონმა განიძრახა დროზედ გამოეთხოვა იმპერატორის მფარველობა და ამ მიზნით გაგზავნა პეტერბურგს სოლომონ ლეონიძე. მაგრამ ლეონიძესთან მოლაპარაკება რუსეთის მთავრობამ უცებ შესწყვიტა, რადგან გაიგო იმერეთის მეფის ორგულობა: იგი რუსეთს მფარველობას სთხოვდა და ამავე დროს აბრალებდა მთავრობას სამეგრელოსთან საქმის მოწყობას. ციციანოვმა ისარგებლა მეფეზე პეტერბურგის განრისხებით და შეიმუშავა გეგმა იმერეთზედ გალაშკრებისა. აიღო თუ არა განჯა, საქართველოს მთავარმართებელმა 1804 წ. რუსის ჯარს იმერეთისკენ უბრუნა პირი. სოლომონმა მაშინ დააშორა ქაიხოსრო წერეთლის გამოსტუმრება ტფილისს ციციანოვთან მოსალაპარაკებლად. მეფე თანახმა იყო რუსეთს შეჰფარებოდა იმ პირობით, რომ ლეჩხუმს სამეგრელოს გამოსწირავდნენ და იმერეთს შეუერთებდნენ. ამ მოლაპარაკებამ უნაყოფოდ ჩაიარა. მაშინ ციციანოვმა ოქროთი შეისყიდა იმერეთში გავლენიანი პირები, რომელთაც ჩააგონეს მეფეს ციციანოვთან მორჩილებით აეცილებინა განსაცდელი. საქმის გასაძღოლად პირადი ნახვა იცნეს საჭიროდ, აუცილებლად. ციციანოვი და სოლომონ შეხვდნენ ერთმანეთს, მეფემ შეჰფიცა ერთგულებაზე და მიიღო წყალობის ნიშნად ანდრია პირველ წოდებულის ორდენი. იმერეთის ბედის პირველი ნაბიჯი ასე გადასწყდა 25 აპრილს 1804 წელს.

ა. ხახანაშვილი.

(დასასრული იქნება)

მას, სამწუხაროთ, შეუგნებლობით, თუ სიხარბით, ან გაჭირვების გამო, ისე ვეპყრობით, როგორც მტერს. ვის არ გაუგონია, არ უნახავს, თუ როგორ ოხრდება იჩეხება ჩვენებური ტყეები. ჰკაფენ ხშირად უანგარიშოდ სადაც და რამდენიც მოუხდებათ. ამიტომაც ბევრგან, საშენ ხე-ტყის მაგივრად, დაგვრჩენია ან ურგები ბუჩქნარი, რომელსაც მიწა ტყუილად უკავია, ან ჩამოფხავებული, წვიმა-ნიაღვრებისგან ჩამორეცხილი მთა-კლდეები. გონივრულად და დაზოგვით მოხმარებით შესაძლებელია კაცმა უფრო მეტი მასალაც დაამზადოს და ტყეებიც სამუდამოთ შეინახოს და უთავბოლო ხმარებით კი ტყეების ნაცვლად ხშირად გვრჩება ხოლმე გამოუსადეგარი, ხრიოკი ადგილები, რადგანაც ტყე უმეტეს შემთხვევაში იზრდება მწირ და დაქანებულ ადგილებზე, სადაც ხვნა-თესვა შეუძლებელია.

გ. ახალციხელი.

„სახალხო გაზეთის“ რედაქციისაგან.

ჩვენი ქვეყნის აწინდელის მდგომარეობისა და მომავლის გამოსარკვევად საჭიროა უმთავრესად მისი ეკონომიურის მხრივ შესწავლა, ქონება-სიმდიდრის გათვალისწინება. ამ აზრით უმორჩილესის თხოვნით მივმართავთ ჩვენს კორესპონდენტებს და ყველა იმას, ვისაც სამშობლოს სვე-ბედი ინტერესებს, დახმარება აღმოგვიჩინონ და ქვემოთ მოყვანილ კითხვებზე ცნობები მოგვაწოდონ. ნურვინ დაერიდება ნურც წერილის სიმცირეს, ნურც მართლწერას, ოღონდ-კი ცნობების ფაქტიური მხარე ჰყვეს ნამდვილი, უტყუარი. სხვებთან ერთად შეკრებილ ცნობებს თავს მოუყრით [...]ვიმუშავებთ და თავის დროზე გამოვა[...]ვეყნებთ.

1. სოფლის სახელი და მისი მდებარეობა.
2. მცხოვრებთა რიცხვი ეროვნებისა, [...]ოდებისა და სქესის მიხედვით. დაბადე[...]ულთა და მიცვალებულთა რიცხვი წლის[...]ნმავლობაში მეტრიკულ წიგნიდან.
3. რამდენი მამული აქვს თვითეულ [...]მის საკუთარი, იჯარით ან სალალეთ [...]ებული და რა პირობებით· რამდენი, [...]-და-რა საქონელი ჰყავს. მეურნეობის [...]მელი დარგი შეადგენს მცხოვრებთა [...]თავრესს სარჩოს.
4. გარდა სასოფლო მეურნეობისა, რა [...]ლობას ან შინა მრეწველობას მისდევენ [...]ფლელნი.
5. თვითეულ კომლის საერთო შემოსა[...]ის რაოდენობა, ნაწარმოებით ან ფუ[...] ნაანგარიშევი.
[...] თვითეულ კომლის საერთო გასავა[...] რაოდენობა: ღალა, იჯარა, სახემწი[...] და სასოფლო გადასახადი, ბეგარა, [...]ესიისა და სკოლის ხარჯი და სხ.
[...] რას, რამდენს ჰყიდიან და ყიდულო[...] მცხოვრებნი.
[...] არის თუ არა სკოლა, ბიბლიოთეკა, [...]ოს კურსები და ვინ განაგებს. რამდე[...] გავრცელებულია წერა-კითხვა, წიგ[...] გაზეთები.
[...] არსებობს თუ არა სამეურნეო, სავა[...]ან წვრილი სესხის ამხანაგობა.
[...] კორესპონდენტის საკუთარი დაკვირვებანი და საზოგადო მოსაზრებანი სოფლის ეკონომიურ მდგომარეობაზე.

ს. მ. ლეჟავას განცხადების გამო.

ბატ. ლეჟავა გაზეთში აცხადებს:

დ. ძველ სენაკის სოფ. ხორშაში 10 ნოემბერს 1909 წელსა თავის საყვარელ შვილს არტემას ჯვარსა სწერს ახ. ხაჯაიას ასულზე და პატივის ცემით იწვევს საპატიო პირებს, ნათესავ-ნაცნობთ, რათა იმხიარულონ და ამხიარულონ ოჯახი მისი. ქორწილის დროს გაიმართება ორი წყვილი საინტერესო ქართული ჭიდაობა ესებუას ხელმძღვანელობით, ფალავნებისათვის საჩუქრები დანიშნული.

არის შუაგულ ევროპაში პატარა სლავიანთა ხალხი ჩეხები, გერმანელებისაგან დამონებული, ჩაგრული, დევნილი. ესენი ყოველ ღონეს ხმარობენ შეინარჩუნონ თავიანთი ენა, ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება. სხვათა შორის საოჯახო მხიარულების აღსანიშნავად, მაგალითად ქორწილის დროს შესწირავენ ფულს თავიანთ „მატიცას“ და ამით აძლიერებენ განათლების საქმეს „მატიცა“ ჩვენებური წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მგზავსი დაწესებულებაა.

კიდევ ილესება მახვილი საქართველოს სხეულიდან საუკეთესო აწილების ჩამოსაჭრელად.

„დროებას“ ატყობინებენ:

როგორც დუშეთის მაზრიდან იწერებიან, პეტერბურგში მცხოვრებ გენერალს თავ. ალექსანდრე მუხრანსკის მოლაპარაკება გაუმართავს რუსის გლეხებთან ადგილების გაყიდვის შესახებ. თავ. მუხრანსკის სახნავი, საბალახო და სამოსახლო ადგილები აქვს დუშეთის მაზრის სოფელ ჭადიჯვრის მიდამოებში და ამ მამულების გაყიდვას აპირებს. საზოგადოდ, ამ ბოლო დროს რუსის გლეხებმა ძალიან მოაშურეს ჩვენ ქვეყანას. კვირა არ გაივლის ისე, რომ რუსეთიდან მოსულ „ხოდოკებს“ არ შეჰხვდეს კაცი. „ხოდოკები“ მოდიან ტფილისში, აქ ჰკრეფენ ცნობებს, რომელი მემამულე ჰყიდის მამულს, შემდეგ ადგილებს ათვალიერებენ და ურიგდებიან პატრონებს. თავ. ანდრონიკაშვილს გარეთ-კახეთის მამულში რუსის გლეხებმა მარტო ბე 15,000 მან. მისცეს. ამბობენ, ამ გლეხებს ეხმარებიანო. ამ ბოლო დროს გერმანელებიც ძალიან დაფაცურდნენ თავისუფალ ადგილების შესაძენად. გარდა იმისა, რომ თრიალეთში მრავალი ქარხანა გამართეს იჯარით აღებულ მიწებზე, გერმანელები დიდ ადგილებსაც ყიდულობენ და ზედ მთელი სოფლები შენდება. გერმანელებს დიდად ხელს უწყობს, როგორც გავიგეთ, ტფილისში მცხოვრები გერმანელი ინტელიგენცია. ამ ჟამად გერმანელებს მოლაპარაკება ჰქონიათ დუშეთის მაზრის მემამულეებთან, ერთ-ერთ თავ. მუხრანსკისთან. მათ უნდათ ერთი სოფლის გასაშენებლად შეიძინონ რამდენიმე ათასი დესეტინა ადგილი.

სიღნაღის მაზრა.

III.

წინა წერილში ვსთქვით, რომ ჩარჩებმა შაბიამანი თორმეტ მანეთამდე ასწიეს ფასი. რასაკვირველია, გლეხი კაცი ძლიერ შევიწროვდა ამ გარემოებით. იფიქრეს, იღონეს და ბოლოს ვაქირმა და ანაგამ გადაწყვიტეს: სასოფლო სამეურნეო თანხის ფულით გამოიწერონ შაბიამანი და გოგირდი ოზიანდერის კანტორის საშუალებით. მართალია, ორი სოფელი რა მალამოს დასდებდა მთელ კახეთს, მაგრამ სამაგიეროთ განისაზღვრეს შაბის და გოგირდის ფასი მთელ კახეთში, ასე რომ 12 მანეთიდამ 4 მ. და 80 ჩამოიყვანეს ფასი. ვაქირმა იჭკუა, დაუჯერა ზოგიერთების რჩევას, რომ ნისიათ არ გასცა შაბი და გოგირდი. თავის თანხა ისევ შეავსო, ისე რომ გაჭირვებაში კიდევ გამოიყენებს. არ ვიცით-კი ამ ორ წელიწადში რატომ არ გამოიწერეს.

ანაგამ-კი ცოტა არ იყოს ამ საქმეში წააგო. ვის არ მოეხსენება ჩვენი გლეხის ჯიბრი და ჟინიანობა. „ნოდარემ თუკი წაიღო ნისიათ, მეც უნდა წავიღოვო“ და მომზადებული ორ-ორგროშობით პოგროვილი შაბიამანის ფულს უკან იტოვებს და ნისიათ მიაქვს. ფულს-კი დუქანში ამოაყოფინებს თავს და წამლის ვალი-კი კისრათ ედება. ასე მოუვიდა ანაგას. დაურიგეს ნისიათ. დღესაც ვერ მოუკრეფიათ და ვალქვეშაც ჩაცვივდა იმოდენა ხალხი. სასოფლო-სამეურნეო თანხასაც თვალსაჩინოთ დააკლდა და ნამდვილ საჭიროება, რომ ჰქონდეთ შიშით ხმას ვერ ამოიღებენ, რადგან თანხა გაფლანგულია. კარგი იქნებოდა, რომ წვრილ-წვრილათ შეევსოთ და სხვა ათასი საჭიროებისათვის მოეხმარებინათ. მაგ. წყლის გამოყვანა, წვრილი სესხის დაარსება, დეპოს გახსნა, მამულის შეძენა და სხ.

—ონავ.

ბათუმის თეატრი და სამი დასი.

მთელმა ზაფხულმა ისე გაიარა, რომ ერთხელაც არ გამართულა ქართული წარმოდგენა. სამაგიეროთ დადგა ზამთრის სეზონი და დღეს-კი კვირაში ორჯერ—სამჯერ მართავენ წარმოდგენებს. დღეს ბათუმის რკინის თეატრში ირგვლივ სამმა დასმა, სცენის მოყვარეებისაგან შემდგარმა, მოიყარა თავი. პირველი დასი შეადგინეს ნასწავლმა ახალგაზდობამ, მეორე დასი შესდგება მსახიობთა ა. მამულაშვილისა, მ. ავალიშვილისა და სცენის მოყვარეებისაგან, მესამე დასს შეადგენენ შეგნებული მუშები.

პირველმა დასმა დაგვანახა ენერგიული მუშაობა 17 ოქტომბერს „ძუნწის“ და ვოდ. „უჩინ მაჩინის ქუდის“ თამაშით. ამ ვაჟბატონებს, როგორც ეტყობოდათ, სცენაზე პირველად მოუხდათ გამოსვლა, რადგან საერთოდ არცერთმა არ იცოდა. ზოგიერთმა დაჯდომა რაროს უნდოდა და ადგომა, ისიცკი ეშლებოდა, ერთი სცენის მოყვარე ნუნუაც-კი გადაეკრა, ბორძიკობდა სცენაზე და ენაც ებნეოდა, თითქოს ორი წლის ბავშვიაო. ტანისამოსიც შეუფერებელი ეცვათ. ერთი სიტყვით „ძუნწის“ დასურათების მაგიერ დამწვრე საზოგადოებას აჩვენეს რაღაც ახალი თავიანთი შეთხზული კომედია. პიესის გათავების შემდეგ ერთმა უცნობმა სცენაზე ლაუე კვერცხი ესროლა. მე სწორე გითხრა არ მესიამოვნა კვერცხის სროლა, მაგრამ რა მექნა.

კვირას, 18 ოქტომბერს მეორე დასმა სცენის მოყვარეების დახმარებით წარმოადგინეს „ერთი ნაბიჯი წინ“. პიესამ საზოგადოთ მწყობრათ ჩაიარა. ავალიშვილისამ და ა. მამულაშვილმა მოახდინეს მსმენელ საზოგადოებაზე შთაბეჭდილება თავისი მომხიბლავის და მოხდენილის თამაშით.

ამასთანავე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელ საზოგადოებაზე ალავერდოვის ბავშვმა, როდესაც დედას ეუბნებოდა: სასწავლებლიდამ დამითხოვეს, ფული მოიტანეო, შენ მამა მდიდარი გყავსო, მშია და პური მაჭამეო,. ზოგიერთ მსმენელებმა ტირილიც-კი დაიწყეს. ბავშვი ტაშის ცემით დააჯილდოვეს. ხალხი ბლომათ დაესწრო.

მესამე დასზე შემდეგ.

დროებით ბათუმელი.

სახელმწიფო სათათბირო

ადგილობრივ სასამართლოს რეფორმა.

4 ნოემბერს, მეცამეტე სხდომაზე, განაგრძეს განხილვა კანონპროექტისა ადგილობრივ სასამართლოს რეფორმის შესახებ. ამ სხდომაზე უფრო მემარჯვენენი ლაპარაკობდნენ. სიტყვები სთქვეს ეპ. ევლოგიმ, პურიშკევიჩმა და სხვებმა. ესენი კანონ-პროექტის წინააღმდეგნი იყვნენ. პურიშკევიჩმა, რა თქმა უნდა, მემარცხენეებს ლანძღვა არ მოაკლო.

ილაპარაკა აგრეთვე იუსტიციის მინისტრმა. იგი იცავდა პროექტს.

დეპეშების შინაარსი.

გაზეთებიდან.

თეირანი. მეჯლისის თავმჯდომარედ აირჩიეს მიტამინ-უნმულკი.

მესსინა. 3 ნოემბერს, დილით მიწა იძრა. დაინგრა რამდენიმე სახლი. მცხოვრებლებმა სახლები მიატოვეს.

მოსკოვი. ცნობილმა ქვეყნმოქმედმა ჩერნიშევმა განაცხადა მოსკოვის მაზრაში ჩემს ხარჯით სკოლის შენობას ავაგებო. სკოლაში ყველა ხელობას უნდა ასწავლიდნენ; დანარჩენი ხარჯი ერობამ იკისროსო.

ჰელსინგფორსი. უმაღლესის ბრძანებით დაითხოვეს ფინლიანდიის სეიმი. ახალი არჩევნები დანიშნულია პირველ თებერვლისთვის. ახლად არჩეული სეიმი მუშაობას დაიწყებს პირველ მარტს (ახალი სტილით).

თეირანი. მეჯლისი იხილავს დეპუტატების არჩევნებს. მეჯლისის ამხანაგებად აირჩიეს: ხუსინდ-კულიხან ნავაბი და მუსტეშა-რუდ-დოულე სამინისტრო გადადგა.

მოსკოვი. ქალაქის საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს, გამოიცეს კანონი, რომლითაც საყოველთაო სწავლება სავალდებულოდ უნდა აღიარდეს.

სმოლენკი. სოფელ ზაბოროვოში გადაიწვა 43 სახლი და წლევანდელი მოსავალი.

ბლაგოვეშჩენსკი. 4 ნოემბერს 7 შეიარაღებული ბოროტ-განზრახველი თავს დაეცა საინტენდატოს მოხელეების ლისოვსკის დაზიაევის სადგომს. ბოროტ-განზრახველებმა აიძულეს მოხელეები დაეწერათ 17,000 მანეთის ჩეკი. ამის შემდეგ ბოროტგანზრახველებმა იატაკ ქვეშ ჩაყარეს 7 მოხელე, სახლის პატრონი —ქალი და 9 კაცი, გამოიტანეს სახელმწიფო ბანკიდან 17,000 მანეთი და მიიმალნენ.

პეტერბურგი. დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 3, არავინ გარდაცვლილა, ავად არის 109 კაცი.

თავრიზი. მეჯლისის გახსნის გამო ქალაქი საღამოთი გაჩირაღდნებული იყო.

ახალი ამბავი

◆ ხუთშაბათს 5 ნოემბერს პ. გოთუას რედაქტორობით გამოვიდა ახალი 3 კაპეიკიანი გაზეთი რუსულ ენაზე „Новая Рѣчь."

◆ ტფილისში ძალიან გამრავლდნენ ჯიბგირები და ქურდ-ბაცაცები. ტფილისელ მცხოვრებს ვეღარას აკლებენ, რადგან ყველამ იცის იმათი ქცევა და ხელი მიჰყვეს სოფლელებს. ჯიბგირები იკრიფებიან სადაც დიდი მოძრაობაა: მოედნებზედ, ვარანცოვის ხიდთან, ყანთართან და ვაგონების სადგურებთან. ყველაზე უფრო ბევრს შეხვდებით სომხების სემინარიის ადგილში, შუა ბაზარში და ახალ მოედანზედ სადაც სოფლელებს ჩამოაქვს ხილი და სხვა სანოვაგე გასასყიდათ. აქ ჯიბგირები მოსვენებას არ აძლევენ გლეხებს. ერთმა ჯიბგირმა ერთს გლეხს მოჰპარა სამი მანეთი. ჯიბგირმა მიმალა და დაიწყო ფიცი მე არ მომიპარნიაო. მისცვივდნენ გლეხები დაუწყეს ჩხრეკა და ყნის ძირიდან ამოაცალეს სამ მანეთიანი. მოინდომეს მისი ცემა მაგრამ ამხანაგები მიეშველნენ და გაანთავისუფლეს. მეორე ჯიბგირმა ერთ გლეხს მოჰპარა ხუთი მანეთის ნავაჭრი. მიხეილის ქუჩაზე ვაგონით მიდიოდა ჩამოსული აჭარელი ქართველი მაჰმადიანი. ჯიბგირმა გაზეთი ხელზედ გადაფარა, ჩაუყო ხელი ჯიბეში და ხუთი მანეთი ამოაცალა.

◆ როგორც ვიცით, 1905 წლიდან მთავრობამ შესწყვიტა შიდა რუსეთიდან ამიერ-კავკასიაში რუსის გლეხების გადმოსახლება. აღნიშნულ წლამდე-კი სოხუმის ოლქში, ტფილისის მაზრასა, კახეთსა, ბორჩალოს მაზრასა და აღმოსავლეთ კავკასიაში გააშენა სოფლები და დაასახლა 121,000 სული რუსი. მოძრაობის ქარტეხილის შემდეგ მთავრობამ კვლავ დიდი ყურადღება მიაქცია ამიერ-კავკასიას, უფრო დიდი ვიდრე წინად, წინად ყურადღება მიქცეული იყო შორეულ აღმოსავლეთზე. ეხლა მთელი გულის-ყური მახლობელ აღმოსავლეთს მიაქციეს, უმაღლესმა მთავრობამ უკვე შეიმუშავა გეგმა ამიერ-კავკასიაში რუსის ელემენტის გასაძლიერებლად. იმისთანა ადგილებს არჩევენ, სადაც რუსების დასახლებას დიდი მნიშვნელობა ექნება მერმისისათვის. დასასახლებლად არჩეულია შავი ზღვის ნაპირები, კასპის ზღვის ნაპირები და სხვა ადგილები. პეტერბურგში უმაღლეს მთავრობას უკვე გადაუწყვეტია მომავალ სამი წლის განმავლობაში **ნახევარი მილიონი** რუსის გლეხი ჩამოასახლოს ამიერ-კავკასიაში. შავი ზღვის პირად და მუღანში უკვე დაამზადეს ადგილები. მეორე წელიწადია ამ ადგილებში მუშაობს მთელი ჯგუფი ინჟინრებისა, აგრონომებისა და სხვა სპეციალისტებისა. ჰგეგმავენ ადგილებს და სარწყავი წყალი გაჰყავთ. აზრადა აქვთ მტკვრიდან დიდი წყალი გადააგდონ მუღანის სარწყავად. ასეთი მეცადინეობაა ამ ჟამად რუსების ჩამოსახლებლად.

◆ მთავრობას მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვაში 505,665 მანეთი შეუტანია ბამბის თესვა-მოყვანის საქმის გასაძლიერებლად თურქესტანსა და კავკასიაში.

◆ მომავალ კვირას, 15 ნოემბერს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დაიწყება ამიერ-კავკასიელ მეურნეთა კრება. სხდომები ერთს კვირაზე მეტს გასტანს. განიხილავენ სხვა-და-სხვა მოხსენებებს ჩვენის ქვეყნის მეურნეობის გაუმჯობესობის შესახებ. პირველ დღის პროგრამა სამეურნეო საზოგადოების საბჭომ უკვე შეიმუშავა. გახსნისათანავე საზოგადოების პრეზიდენტი თავ. პ. ა. გრუზინსკი წარმოსთქვამს სიტყვას. მეორე სიტყვას მეურნეობის განვითარების პირობების შესახებ წარმოსთქვამს საზოგადოების წევრი ქალანთარი, მესამეს საზოგადო აგრონომიის შესახებ მდივანი ს. პ. ეირანოვი და სხვა. ამავე დღეს აირჩევენ თავმჯდომარის ამხანაგს და ორ მდივანს.

◆ როგორც გავიგეთ, გერმანელებს უკვე შეუძენიათ თავ. მუხრანსკისაგან 500 მდე დესეტინა სახნავი, საძოვარი, სათიბი და სამოსახლო ადგილი. ამ დღეებში უკვე ჩასულა ურმებითა და ფურგუნებით 40 კომლი გერმანელი. სახლების აგებამდე დროებით გერმანელებმა დაიქირავეს ადგილობრივ მცხოვრებთა სახლები.

◆ როგორც ვწერდით, ცარცვაგლეჯისთვის 8 ივლის ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს გიორგი აბულაძეს, რომან მეთოდიშვილს, მიხეილ მანიძეს, ალექსანდრე გოტიშვილს, აბრამ ძმემოკაშვილს და სოლომონ ბახუთაშვილს. ამათ ნამესტნიკმა ჩამოხრჩობა უვადო კატორგად შეუცვალა. უვადო კატორგად შეეცვლათ ჩამოხრჩობა აგრეთვე კარაპეტ პაპინოვს და გიორგი გრ[illegible]შვილს ჩამოხრჩობის ნაცვლად ხუთი წლის კატორგა მიუსაჯეს პაპკენ ტატოსიანცს, ოთხი წლის კატორგა ოჰანეზ მელიქ-ტატოსიანცს და ექვსი წლის კატორგა იაგორ თემურაზოვს. სვიმონ ახალაძეს ჩამოხრჩობის ნაცვლად მიუსაჯეს ერთი წლის გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

◆ ფუნიკულერის სადგურიდან ძალზე დამთვრალი სტეფანე მამულოვი (52 წლისა) წამოსულა ქალაქში 5 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე. მამულოვი ბილიკს აცდენია, ხრამში გადავარდნილა: ძალზე დაშავებული მამულოვი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

რედაკტორ გამომცემელი

დარია ხრამელაშვილისა.

განცხადებანი

მეორე სპეციალური კლასი ტერ-სტეფანოვის სავაჭრო სკოლისა

(ჩინის მიღების უფლებით)

იხსნება ამა წლის პირველ ნოემბერს. სწავლა ნაშუად. $4^{1}/_{2}$ ს.-დან. ნახევარი წლის ფას, 60 მ. წინ და წინვე უნდა იქმნას შეტანილი. მოსამსახურეთათვის განაწილება შეიძლება.

ველიკო-კნიაზის ქ., № 17, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. შესასვლელი მიხეილის პროსპ. № 16-18. (5—4)

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა.

კოოპერაცია

(თეორია, ისტორია და პრაქტიკა).

ალმეზა.

ალმეზა სულ, ერთ წუთში სპობს კბილის ტკივილს, აგრეთვე კარგავს პირის სიმყრალეს, და აჩერებს სისხლის დენასა. ამაგრებს კბილებს, ზრდის ნონებსა.

აუცილებელი საჭიროა ყოველს ოჯახში და მოგზაურობის დროს. ფასი ნორმალური ფლაკონისა 1 მ. 20 კ. საცთელი. ფლაკ. 40 კ.

თმის საშვალება პრიმა.

პრიმა აჩერებს თმის ცვენასა, სპობს უცბათ თავის ქერტლსა. აგრეთვე თმა იღება შემდეგ რამოდენიმე ხმარებისა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.

საყურადღებოთ ციებ-ცხელებით ავათმყოფებისათვის.

ჩვენი ციების წამალი სპობს სულ მოკლე დროში ძველს და ახალს ციებ-ცხელებასა ფასი 1 მ. 50 კ.

დარიგება ყველას თან ახლავსთ. ვგზავნით ფას დადებით. საჭიროა ბე ერთი მესამედი. კანტორა და სკლადი თფილისი ქუჩა ნეკრასოვისა № 14 ვორონცოვის ტ. ძეგლის. მახლობლათ.

წარმომადგენელი მთელი კავკასიისა ი. ახობაძე.

Контора и складъ „Т". Тифлисъ Некрасовская улица № 14 И. Ахобадзе.

(50—7)

სტამბა „გუტენბერგისა" ოლგინის და სლეპცოვის კუთხე № 1.